საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ფოთი

№ **04/1216**

03 / სექტემბერი / 2020 წ.

KA000084919700320

N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემის შესახებ

,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-8 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 14 აგვისტოს N 17/52 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. გადაეცეს N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები დანართი N 1-ის შესაბამისად, კომისიების საქმიანობის ვადით (საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობისათვის), საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

მუხლი 2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დაინტერესებული პირის (N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია) მიერ მისი გაცნობისთანავე უთანაბრდება ხელშეკრულებას.

მუხლი 3. წინამდებარე ბრძანების დანართი N 1-ში მითითებული შენობა-ნაგებობების მოსარგებლეებს შენობა-ნაგებობების (არასაცხოვრებელი ფართის) იმ ნაწილზე, რომლებიც გამოყენებულ იქნება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, დროებით შეუჩერდეს უზუფრუქტის უფლება (კომისიების საქმიანობის ვადით), საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

მუხლი 4. N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობისას დაიცვას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია